

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში  
დამატებების შეტანის თაობაზე“

საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის შემუშავება გამოწვეულია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფით, რათა განისაზღვროს საქსტატის მიერ წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის ვადა და შინაარსი.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის მიზანია განსაზღვროს საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი ანგარიშის წარდგენის ვადა.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლისათვის მე-3 და მე-4 პუნქტების დამატებას, რომლის თანახმადაც დგინდება საქსტატის მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის ვადა და შინაარსი.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გამოყოფას.

#### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.



დ.ბ) კანონპროექტის შექმნაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში ექსპერტების დასკვნები არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა.